პასუხები სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ მოწოდებულ შენიშვნებსა და კომენტარებზე

უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციას;

დოკუმენტი „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 26-ე მუხლით დადგენილ ინფორმაციის შესაბამისადაა მომზადებული

სგშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოპინგის განცხადებაში მითითებული (განსაზღვრული, ჩასატარებელი) კვლევების შედეგები, მოპოვებული და შესწავლილი ინფორმაცია.

მოიცავს ყველა ინფორმაციას

1. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტისთვის საკვანძო გარემოსდაცვითი საკითხები და სგშ-ის პროცესში შესწავლილი ზემოქმედებები;

   ასახულია თავში ზემოქმედებები გარემოს დაცვასა და ჯანმრთელობაზე

2. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა შეფასდეს გეგმის სხვადასხვა სექტორულ და მულტისექტორულ სტრატეგიულ დოკუმენტებთან კავშირი;

   ასახულია თავში: სხვა სტარტეგიული დოკუმენტები

3. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელების საანგარიშო პერიოდი, მათ შორის გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის დანართებით გათვალისწინებული იმ საქმიანობების ვადების მითითებით, რომელთა განხორციელებაც იგეგმება სტრატეგიული დოკუმენტის ფარგლებში;

ასახულია ღონისძიებებათა გეგმაში

4. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს საზოგადოების ინფორმირებისა და მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია, თარიღების, განხილული საკითხებისა და სტრატეგიული დოკუმენტის მომზადების პროცესში მიღებული შენიშვნების გათვალისწინების შესახებ.

აისახება სგშ-ს საჯარო განხილვის შედეგები

5. **სგშ-ის ანგარიშის** გეოლოგიური ნაწილი წარმოდგენილი უნდა იყოს ქვეთავების სახით, შემდეგი თანმიმდევრობით: რელიეფი (გეომორფოლოგია); გეოლოგიური აგებულება; სეისმური პირობები; ჰიდროგეოლოგიური პირობები; საინჟინრო - გეოლოგიური პირობები; გეოლოგიური საფრთხეების შეფასება, შესაბამისი ზონირების რუკის შემუშავებით.

შესწორებულია გეოლოგიური აგებულებ გვ 35-43

6. **სგშ-ს ანგარიშში** აისახოს ზურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასება (ზზშ), იმ სახეობებისა და ჰაბიტატებისთვის, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა ზურმუხტის ქსელის დამტკიცებულ „Goderdzi - GE0000026“ საიტი, რომელსაც ემთხვევა სტარტეგიული დოკუმენტის განცორიცლების ტერიტორიის ნაწილი.

ასახულია ღონისძიებათა გეგმაში და ზემოქმედებებში

7. **სგშ-ის ანგარიშში** ნარჩენების მართვის საკითხები წარმოდგენილი უნდა იყოს ნარჩენების მართვის კოდექსისა და მისგან გამომდინარე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესაბამისად. ასევე, მუნიციპალიტეტმა უნდა უზრუნველყოს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვება და ამ მიზნით მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების სისტემის გამართული ფუნქციონირება. აგრეთვე, მუნიციპალური ნარჩენების წყაროსთან სეპარირებული შეგროვების სისტემის ეტაპობრივი დანერგვა და გამართული ფუნქციონირება ნარჩენების მართვის კოდექსისა და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის N159 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტი - მუნიციპალური ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების წესის“ მოთხოვნების შესაბამისად.

   ცხრილში გვ 218-220, და ასახულია ღონისძიებათა გეგმის ნარჩენები ცხრილი 40

8. **სგშ-ის ანგარიშში** დეტალურად უნდა იყოს აღწერილი სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე წყალმომარაგების და ასევე ჩამდინარე წყლების მართვის საკითხები.

   ასახულია გვ 110: წყალსადენის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემების საპროექტო სამუშაოების გეგმა

9. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა აისახოს კონცეფციით წარმოდგენილი ზონების/ქვეზონების შესახებ ინფორმაცია, კერძოდ, განაშენიანების პარამეტრები, სიმჭირდოვეები, შეზღუდვები, შენობებისთვის დასაშვები სიმაღლის ზღვრები. განხილული უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე თითოული ზონისთვის ზოგადი, საერთო კონცეფციის (ერთიანი იერსახე) საკითხი და თითოეული ზონისთვის უნდა განისაზღვროს არქიტექტურული კონცეფცია (მათ შორის შენობა-ნაგებობების სამშენებლო მასალები, ფორმები, ფერები, ზომები).

პასუხი
განაშენიანების პარამეტრები, სიმჭირდოვეები, შეზღუდვები, შენობებისთვის დასაშვები სიმაღლის ზღვრები. განხილული უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების ტერიტორიაზე თითოული ზონისთვის ზოგადი, საერთო კონცეფციის (ერთიანი იერსახე) საკითხი და თითოეული ზონისთვის განსაზღვრული არქიტექტურული კონცეფცია (მათ შორის შენობა-ნაგებობების სამშენებლო მასალები, ფორმები, ფერები, ზომები)

იხ. გენერალური გეგმა ტექსტური ნაწილი მუხლი 6.1.8.

უნდა აისახოს ინფორმაცია საკურორტო-სარეკრეაციო ქვეზონის (შზ-4) შემადგენელი ნაწილების - საკუთრივ „კურორტი ბეშუმის“ და საკურორტო სექტორების (A, B, C) განაშენიანების პარამეტრების, მათზე დაგეგმილი ქალაქთმშენებლობითი ღონისძიებების, ფუნქციისა და შეზღუდვების შესახებ.

ქვეზონა შზ-4 შედგება დისპერსულად განლაგებული 4 ტერიტორიული ერთეულისაგან: დღეს მოქმედი საკუთრივ „კურორტი ბეშუმი“ და, ლათინური ლიტერებით აღნიშნული, ახლადშეთავაზებული საპროექტო საკურორტო სექტორები; - A; B; C. მათგან ძირითადია დღეს მოქმედი „კურორტი ბეშუმი“, შემდეგი პარამეტრებითა და მახასიათებლებით: - „კურორტ ბეშუმის“ დემარკირებული ფართობი შეადგენს 562,400 კვ/მ. - შენობების რაოდენობა - 1052 ერთეული; მათ შორის ისეთ ლეგალიზებულ ნაკვეთებზე განლაგებულნი, რომლებიც ტყეშია შეჭრილი. რამდენიმე პრინციპის/მიმართულების საფუძველზე დაყრდნობით მომზადდა „კურორტ ბეშუმის“ შიდა განვითარების მოსაზრება იხ. გდგ თავი 5-ში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე გენერალური გეგმის მუშაობისას და სამშენებლო ტერიტორიის გამოყოფისას, გათვალისწინებული იყო შემდეგი წინაპირობები:

ასახული გვ 127

სგშ-ის ანგარიშში უნდა აისახოს ინფორმაცია კონცეფციის გამწვანების გეგმის რუკაზე აღნიშნული „ბუნებრივი ლანდშაფტის“ შესახებ.

ასახული გვ 120

სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს ინფორმაცია ლანდშაფტის დაცვის კონცეფციით განსაზღვრული მწვანე ტერიტორიის ოთხივე ზონისთვის დადგენილი შეზღუდვების და ნებადართული საქმიანობების შესახებ. სგშ-ის ანგარიშში განისაზღვროს აღნიშნული “მწვანე ტერიტორიების” წილი მთლიან გეგმარებით არეალზე.

პასუხი გვ 120-121

გდგ-ს მიხედვით თავი 6.1.9. სხვა პირობები . მიწის ნაკვეთის გამწვანება: ა) ზოგადი პირობები რეგულირდება ძირითადი დებულებებით (მუხლი 48), დეტალური პირობებ ზუსტდება შესაბამისი უბნის/სამეზობლოს გდგ; ბ) მშენებლობისას ხის ჭრა შეიძლება განხორციელდეს შესაბამისი სფეროს ექსპერტის დასკვნის საფუძველზე, თუ ხე არის დაავადებული, ზეხმელი, ხმობადი, ფაუტი (ფუტურო), გადაბერებული (ამორტიზებული) და/ან არამდგრადი. საკომპენსაციო რგვის და/ან მოსაკრებლის საკითხები წესრიგდება ხულოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი დადგენილებებით

გვ.120-121

10. **სგშ-ის ანგარიშში** აისახოს ლანდშაფტის მნიშვნელოვანი ან დამახასიათებელი თვისებების კონსერვაციისა და შენარჩუნების საკითხები, მათ შორის ტერიტორიის სამომავლო განვითარების ადაპტირება არსებულ ბუნებრივ და სახეცვლილ ლანდშაფტთან, უხეში ჩარევის გარეშე. უნდა აისახოს ინფორმაცია საფეხმავლო ინფრასტრუქტურის (ბილიკები, ტროტუარები) შესახებ.

მოცემულია ღონისძიებათა გეგმაში ეკოტურიზმი ცხრ.ცხრ. 42,46

11. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა აისახოს ინფორმაცია დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შედეგად, ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედების თაობაზე, შესაბამისი პრევენციული და შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;

ასახულია გვ 119, ღონისძიებათა გეგმის ცხრილში 37

12. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იყოს იმ ღონისძიებების ჩამონათვალი, რომელიც დაგეგმილია სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების შემთხვევაში შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილებისა და კომპენსირებისათვის;

    ასახული ღონისძიებათა გეგმების ცხრ.ცხრ.33-46 ასახულია ზემოქმედებების განხილვაში **გვ. 183 -230**

13. **სგშ-ის ანგარიშში** განხილული, შეფასებული და შედარებული უნდა იყოს ალტერნატივები სტრატეგიულ, გეგმარებით და კონკრეტულ დონეზე. ალტერნატივების შერჩევა უნდა მოხდეს შემოთავაზებული ალტერნატივების (მათ შორის ნულოვანი ალტერნატივა) გარემოს კომპონენტებზე მოსალოდნელი ზემოქმედების ფაქტორის ხარისხის გათვალისწინებით.

განხილულია ალტერნატივების შედარების ცხრილში გვ 132-166

14. **სგშ-ის ანგარიშში** უნდა აისახოს პოტენციური ტურისტული მარშრუტები და ბილიკები, ასევე განისაზღვროს ტურისტული აქტივობების ლიმიტები/პირობები.

მოცემულია ტურიზმის ანგარიშში

15. **სგშ-ის ანგარიშში** წარმოდგენილი უნდა იქნეს ინფორმაცია
16. დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების, მათ შორის, გზებისა და ხიდების (ასეთის შემთხვევაში) მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე ატმოსფერულ ჰაერზე და გარემოს სხვა კომპონენტებზე შესაძლო ზემოქმედების შესახებ;

მოცემულია ზემოქმედებების განხილვაში გვ 183-185

17. **სგშ-ის ანგარიშში** ასახული უნდა იყოს სტრატეგიული დოკუმენტით გათვალისწინებული სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვისა და განსახორციელებელი საქმიანობების შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია (მათ შორის ვერტოდრომი, ავტომობილების პარკინგი, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა, სასმელი წყლის რეზერვუარები, ქვესადგური, ჰიდროელექტროსადგური, ავტოგასამართი სადგური, თხევადი გაზის რეზერვუარი/გაზმომარაგების მანქანის სადგომი, სამთო- სათხილამურო ტრასები, საბაგიროები).

ასახულია გრგ-ს მიხედვით გვ. 122

18. **სგშ-ის ანგარიშში** მიეთითოს გამოყენებული ლიტერატურის/წყაროს ნუსხა

    გვ. 282

სგშ-ს ანგარიშის მომზადებისას გასათვალისწინებელია შემდეგი ინფორმაცია:

- წარმოდგენილი Shp ფაილების მიხედვით სტრატეგიული დოკუმენტის განხორციელების არეალში მდებარეობს გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლის მცირე მონაკვეთი.

აღნიშნულ მონაკვეთს ასევე ემთხვევა გენერალურ გეგმით წარმოდგენილი „სატყეო ტერიტორიები“. საჭიროა დაზუსტდეს აღნიშნული საკითხი.

-
- კონცეფციის მიხედვით, „ბუნების ძეგლების კატეგორიაში გამოირჩევა გოდერძის უღელტეხილის სიახლოვეს არსებული, კავკასიაში ერთადერთი „გოდერძის ნამარხი ტყე“, რომელსაც მინიჭებული აქვს „ბუნების ძეგლის“ ოფიციალური სტატუსი. ამის მიუხედავად, ძეგლის ტერიტორიაზე გამოყოფილი იყო ტყეკაფები და გატარებულია სატყეოს გზები. შედეგად, გაჩნდა მეწყრები და მცირე ზომის მეწყრული საფეხურები.“ საჭიროა მითითებული იყოს, რომ გოდერძის ნამარხ ტყეს 2013 წლიდან „ბუნების ძეგლების შექმნისა და მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად მინიჭებული აქვს ბუნების ძეგლის სტატუსი და გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭების შემდგომ ტერიტორიაზე არ განხორციელებულა ტყეკაფების გამოყოფა და სატყეო გზების გაყვანა.

გათვალისწინებულია გვ 76

- წარმოდგენილ დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ ტექნიკურ რეგლამენტში – „ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების, ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილისა და გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმა“ - მწირია ინფორმაცია ბუნების ძეგლის შესახებ და მითითებულია გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლისათვის მენეჯმენტის გეგმის მომზადების საჭიროება. სგშ-ის ანგარიშის მომზადებისას გათვალისწინებული უნდა იყოს, რომ დაცული ტერიტორიების მენეჯმენტის გეგმა მოიცავს ადმინისტრაციას მართვას დაქვემდებარებულ ტერიტორიებს. მოცემულ შემთხვევაშიც ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების ადმინისტრაციას დაქვემდებარებული კატეგორიები, მათ შორის გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლი იმართება ტექნიკური რეგლამენტით – „ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიების, ქცია-ტაბაწყურის აღკვეთილისა და გოდერძის ნამარხი ტყის ბუნების ძეგლის მენეჯმენტის გეგმის“ შესაბამისად.

გათვალსიწინებულია გვ 76

- სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში მითითებული ტერიტორიების გარკვეული ნაწილი 2015-2017 წელს ჩატარებული ტყეთმოწყობის მასალებისა და აჭარის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ 2017 წლის 15 მაისის №16 ბრძანებით დამტკიცებული ტყის მართვის გეგმის მიხედვით შედის სსიპ აჭარის სატყეო სააგენტოს ხულოს სატყეო ადმინისტრაციის ზეგნის სატყეოში კერძოდ: კურორტ ბეშუმის მიმდებე ტერიტორიები კვარტალი №9 ლიტერი №1-29. კვარტალი №10 ლიტერი №9,11,14. კვარტალი №11 ლიტერი №18,23,24,26,27. კვარტალი №12 ლიტერი №18,21,22,23,25. 125,6554 ჰა, გოდერძის უღელტეხილის არეალში კვარტალი №7 ლიტერი №7,8,10,11,12. კვარტალი №58 ლიტერი №14,16,24. 8,7388 ჰა და შქერნალის ტერიტორია კვარტალი №8 ლიტერი №1,2,3,4,8,9,10,11,13,14. 55,0896 ჰა. მთლიანი ფართობი შეადგენს 189,4839 ჰა-ს. ტყეთმოწყობის მასალების მიხედვით კვარტალი №8 ლიტერი №2,11. კვარტალი №9 ლიტერი №17. კვარტალი №11 ლიტერი №27. კვარტალი №12 ლიტერი №23. კვარტალი №58 ლიტერი №24,16 გათვალისწინებულია ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა (შემოღობვა ნიადაგის აჩიჩქვნა), ხოლო ზოგიერთ უბნებში ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მთის მოიალაღე მოსახლეობის საშეშე მერქნით მომარაგების მიზნით იგეგმება ფაუტი, ზეხმელი და მოთხრილმოტეხილი ხე-ტყის მონიშვნა. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 18 მაისის №221 დადგენილების „ტყითსარგებლობის წესის შესახებ“ დებულების დამტკიცების თაობაზე 33-

ე მუხლის თანახმად საკურორტო, რეკრეაციული, სპორტული და სხვა კულტურულ- გამაჯანსაღებელი მიზნით ტყით სპეციალური სარგებლობა (შემდგომში – რეკრეაციული ტყითსარგებლობა) გულისხმობს დასვენების, ფიზიკური გაჯანსაღებისა და სხვა მსგავსი მიზნებისთვის ტყის ფართობის გამოყენებას აუცილებელი შენობა-ნაგებობების, მათ შორის, კვების ობიექტებისა და დამხმარე სათავსების აშენებით, მოწყობილობებისა და სპორტული ინვენტარის დამონტაჟებით, სასეირნო ბილიკებისა და გადასახედების და სხვა აუცილებელი ინფრასტრუქტურის მოწყობით. სტარტეგიული დოკუმეტით გათვალისწინებული წყალსადენის, წყალარინებისა და სანიაღვრე სისტემების საპროექტო სამუშაოების განხორციელება სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე, ამავე დადგენილების და საქართველოს ტყის კოდექსის მიხედვით წარმოადგენს განსაკუთრებული დანიშნულებით ტყით სპეციალური სარგებლობას, რომლის განხორციელებაზე ნებართვას გასცემს ტყის მართვის ორგანო.

გათვალსიწინებული გვ 207

- თანდართული დოკუმენტებით და სსიპ მინერალური რესურსების სააგენტოში არსებული ინფორმაციით, სასარგებლო წიაღისეულის საბადო და წიაღითსარგებლობის ლიცენზიები არ ფიქსირდება. თუმცა, როგორც წარმოდგენილი დანართით ირკვევა, აღნიშნულ ტერიტორიაზე ფიქსირდება მიწისქვეშა წყლების გამოსავლები, რომლებსაც გააჩნია სანიტარიული დაცვის პირველი მკაცრი რეჟიმის ზონა, რომელიც უნდა გადიოდეს გამოსავლიდან არანაკლებ 15 მეტრში. „წყლის შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის (სანიტარული დაცვის ზონები) მეოთხე პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, პირველ სარტყელში (მკაცრი რეჟიმის ზონა) აკრძალულია „ნებისმიერი მშენებლობა, გარდა წყალსადენის ნაგებობებისა; ნებისმიერი დანიშნულების საცხოვრებელი და ადმინისტრაციული შენობების განთავსება; ინერტული მასალის მოპოვება; მილსადენის გაყვანა (გარდა წყალსადენის ნაგებობების მომსახურებისათვის აუცილებელისა); ჩამდინარე წყლების ჩაშვება, ბანაობა, პირუტყვის ძოვება და დარწყულება, რეცხვა, თევზჭერა, შხამქიმიკატების გამოყენება მცენარეთა დაცვის მიზნით".

საქართველოს კანონის „სანიტარიული დაცვის ზონების შესახებ" მომზადებული სანიტარიული დაცვის ზონების პროექტი"

- სკოპინგის განცხადებაში წარმოდგენილ კონკრეტული საქმიანობების ალტერნატივების შედარების ცხრილში (ცხრილი 2) ალტერნატივების გრაფაში უნდა იყოს მითითებული შესაბამისი ალტერნატივები.

იხ. თავი ალტერნატივების განხილვა

- სკოპინგის განცხადებაში მითითებულ "ცხრილი 4"-ში (გარემოსდაცვითი რისკების განმსაზღვრელი მატრიცა) რისკის კატეგორიის მასშტაბის მიხედვით შეფასება (0) და (-1) მნიშვნელობებისთვის მეორდება. საჭიროა სგშ-ის ანგარიშში დაზუსტდეს აღნიშნული საკითხი.

იხ. თავი ალტერნატივების განხილვა

- წარმოდგენილი უნდა იყოს რუკა, სადაც მწვანე ტერიტორიის ოთხივე ზონა (საზოგადოებრივი მწვანე ზონა (პარკები), ბულვარის ზონა (სასეირნო განიერი ქუჩა), სპორტული ზონა, მწვანე დასვენების ზონა) იქნება გამოკვეთილი.

გათვალსიწინებული და ასახულია გვ 120

- საჭიროა წარმოდგენილი იყოს რუკა, სადაც ერთად იქნება ასახული კონცეფციაში წარმოდგენილი ყველა ზონა და ქალაქმშნებელობითი ღონისძიებები.

ასახულია გვ 122

- სგშ-ის ანგარიშსა და სტრატეგიულ დოკუმენტში უნდა აისახოს დამატებითი ინფორმაცია სკოპინგის განცხადებაში აღნიშნული "ტყეში მოსასვენებელი ადგილების" საკითხის შესახებ.

არსებული საკითხი "ტყეში მოსასვენებელი ადგილების"

ასახულია ღონისძიებათა გეგმა ცხრილი ტურიზმი 45

- კონცეფციის მიხედვით „შედგენილია ყველა უბნის მოკლე დახასიათება და განვითარების პერსპექტივა და ფორმები". საჭიროა სგშ-ის ანგარიშში აისახოს აღნიშნულ უბანთა განვითარების პერსპექტივისა და ფორმების შესახებ ინფორმაცია.

გათვალისწინებულია. 19 გვ

სსიპ საყვარელიძის სახ. დაავდებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანრთრელობის ეროვნული ცენტრი

ბუნებრივი სამკურნალო ფაქტორების დაცვა

ასახულია თავში სანიტარიული დაცვის ზონები

ტურიზმის ეკოლოგიური ტევადობა ..

ტურისტების სიმჭიდროვე და ტევადობა ასახულია ანგარიშში ზამთრის კურორტად განვითარების ხედვა/კონცეფცია

შესწავლა/შეფასება მოხდება ცალკეული ინდივიდუალურ ეკოტურისტული პროექტის განხორციელებისას.

ასახული ცხრილი ცხრილი ტურიზმი 45

თხევადი ნარჩენები

ასახულია ცხრილი 40 ნარჩენების მართვა

რაც შეეხება იმას თუ რა რაოდენობის ნარჩენი წარმოიქმნება ეს აუცილებლად უნდა იყოს მითითებული ცალკეული პროექტში

***ასახულია თავში ნარჩენებით გამოწვეული ზემოქმედება გვ 218-220* და ცხრილი 40**

ცალკეული სამშენებლო პროექტის მიხედვით იქნება გაანგარიშებული ის თუ რა რაოდენობის წარჩენი შესაძლებელია წარმოიქმნას

ელექტრო მაგნიტური გამოსხივება

ასახულია ცხრილი ცხრ. 42 დაბინძურება